საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთა ქართლი

მთა ქართლი, ადგილი მტკვრის მარჯვენა მთიან ნაპირზე, მცხეთის პირდაპირ. "ქართლის ცხოვრებაში" დაცული ქართ. ეროვნ. ტრადიციის თანახმად, აქ დაემკვიდრა ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქი - ქართლოსი (იხ. ქართველთა ეთნარქები). მან ამ ადგილას ააგო სიმაგრეები, სახლი და თავისი სახელის მიხედვით უწოდა ქართლი (შემდგომი დროის არმაზი). ქართლოსი აქვე დაიკრძალა. მ. ქ. ქართლის ტომის განსახლების უძველესი ცენტრი იყო. მისი პოლიტ. მნიშვნელობა ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა - მ. ქ-ზე გადიოდა მნიშვნელოვანი მაგისტრალური გზები, რ-ებიდანაც ერთი საქართვ. მთელ ტერიტორიას დიაგონალურად კვეთდა და კახეთსა და ჰერეთს (ჩრდ.-აღმ-ით) თრიალეთ-ჯავახეთზე გავლით ტაო-კლარჯეთთან (სამხრ.-დას-ით), ხოლო მეორე, შიდა ქართლს არმაზისხევით ("ქართლის ხევი") ქვემო ქართლთან აკავშირებდა.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ტ. 4, თბ., 1973; ლეონტი მ რ ო ვ ე ლ ი , ცხოვრება ქართველთა მეფეთა, იქვე, ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., ქართლი, მთა ქართლი, არმაზი, მცხეთა კრ.: საქართველოს ისტორიის საკითხები. წგ.: 8, თბ., 1975; მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი დ., ჭ ე ი შ ვ ი ლ ი გ., დ ა უ შ ვ ი ლ ი ა., ქართველი ერის კონსოლიდაციის ეტაპები და თავისებურებანი უხსოვარი დროიდან დღემდე, თბ., 2016; ნ ი კ ო ლ ო ზ ი შ ვ ი ლ ი ნ., ქართლოსის "საფლავი-ქართლოსიანთა საფიცარი", გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2004 #1; ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე გ., ტერმინ "ქართლის" არსისა და წარმომავლობის საკითხისათვის, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, [წგ]. 12-13, თბ., 2013.